ჩ ო ნ გ უ რ ს

ღამეა კაეშნიანი...
თვალი ვერ ხედავს ვერასა,
ქარი კვნესს, ქარი სისინებს,
ქარი დასტირის ბნელასა!

აქ მოდი, ჩემო ჩონგურო,
ერთო ნუგეშო გულისა,
მესაიდუმლევ უცვლელო,
ჩამყუჩებელო წყლულისა!

ისევ შენ განდობ ნაღველსა,
ისევ შენ განდობ ყველასა:
ქარი კვნესს, ქარი სისინებს,
ქარი დასტირის ბნელასა!

ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები..
არ შორდებიან გონებას,
გული სევდებმა წაიღეს,
სული მიეცა ღონებას!

შენ, ერთადერთო ნუგეშო,
მაინც შენ განდობ ყველასა:
ქარი კვნესს, ქარი ქვითინებს.
ქარი დასტირის ბნელასა!

ცრემლი დავღვაროთ ორთავემ?
ეს ხომ ლაჩარის წესია!
თუმცა ცხოვრების მდელოზე
მეტი რა დაუთესია?!

ან რა დროს ქებათ-ქებაა
გაზაფხულის და იასი,

კორდებზე გალაღებული
ბულბულის ტია-ტიასი!

არა, ამ მწუხარ ღამეში,
გარს რო მოისხა ვარდები,
მაშინ, ჩონგურო, სიმწარით
ხელიდან გამივარდები.

არა, ისევ და ისევა,
ისევ მას დავკრავ სიმებსა,
რაც რომ სიმწარით ნაღველსა
შეაკრთობს, გააღვიძებსა.

დავკრავ: ღამეა მწუხარე,
თვალი ვერ ხედავს ვერასა,
ქარი კვნესს, ქარი ქვითინებს,
ქარი დასტირის ბნელასა!

დავკრავ: ამ მწუხარ ღამეში
ისევ შენ განდობ ყველასა...
ქარი კვნესს, ქარი ქვითინებს,
ქარი დასტირის ბნელასა!

1902 წ.